



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

უზასო პოლიტიკური რეკლამა

ლეიბორისტები ამომრჩევლებს ბევრ ღაპირებას აქვთ

გაზეთი „ალიონი“



ქ. ოზურგეთის ცენტრში, „ჭადრების ბაღში“ საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციამ ადგილობრივ მედიას ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატი მირზა ჩხიკვიშვილი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარუდგინა.

პარტიის თავმჯდომარე დავით მამალაძე

უზასო პოლიტიკური რეკლამა

პანო ტაბატაძე-მერობის კიდევ ერთი კანდიდატი

გაზეთი „ალიონი“



18 მაისს, პარტია „სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა, ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად საზოგადოებას და შურნალისტებს ივანე ტაბატაძის კანდიდატურა წარუდგინა. თვალდაპირველად შეხვედრის გამართვა „ჭადრების ბაღში“ იყო დაგეგმილი, შემდეგ საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონი“ გადინაცვლა.

კოლეჯის დარბაზში (ქალბატონი სალომე ამ დროს ერთ-ერთი მედიასამუშაოების შურნალისტებს ესაუბრებოდა) პარტიის აღმასრულებელმა მდივანი ვიკა გლუნჩაძე და პარტიის პოლიტიკური მდივანი გოგი სიმონიშვილი საზოგადოებას ივანე ტაბატაძის შესახებ ესაუბრნენ:

—ვანო ტაბატაძეს არა მარტო მისი

ლეიბორისტების არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მოსახლეობას ჰპირდება ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებას, მდიდრებისათვის მიწების და სხვა ქონების ჩამორთმევას და ა.შ. მან უარყოფითად შეაფასა პარლამენტის მიერ ბოლო დროს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი.

შემდეგ შურნალისტებს ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატი მირზა ჩხიკვიშვილი წარუდგა, რომელმაც მოკლედ ისაუბრა არჩევნის შემთხვევაში რას ჰპირდება ამომრჩევლებს, ხოლო ქალაქის საკრებულოს პარტიული სიით პირველმა ნომერმა ნათია შარაშენიძემ არჩევით ორგანოში მოსვლის შემთხვევაში ქალთა როლზე ისაუბრა.

მოღვაწეობით იცნობს საზოგადოება, არამედ მისი ოჯახის შვილობილიც. ჩვენ ფრთხილად ვეკიდებით ყველა დიდ ქალაქში მერობის და გამგებლობის კანდიდატების შერჩევას. განსაკუთრებით ფრთხილები ვიყავით ოზურგეთის ელექტორატის წინაშე, რომლებიც პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად განსაკუთრებული სიფაქიზით გამოირჩევიან. სწორედ ამიტომ არჩევანი ბატონ ვანოზე გავაკეთეთ.— თქვა ვიკა გლუნჩაძემ.

—ჩემი იმედი გქონდეთ. კანდიდატურას არ მოვხსნი. ვიბრძობ ბოლომდე — განაცხადა ტაბატაძემ.

ცნობისთვის: ვანო ტაბატაძე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ოზურგეთის რაიონის გამგებლის მოადგილედ მუშაობდა. (ამ წლებს უკავშირდება ოზურგეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის ცნობილი საქმე). ბოლო წლებში კი —წყალმომარაგების სამსახურის უფროსად. ამჟამად იგი საზოგადოებრივ კოლეჯ „ეტალონი“-ერთ-ერთი დამფუძნებელია.

უზასო პოლიტიკური რეკლამა

ბები სიორიძე შესვედრებს მართავს

გაზეთი „ალიონი“

ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატი ბები სიორიძე შრომით კოლექტივებთან შეხვედრებს მართავს. 14 მაისს მან პირველი შეხვედრა შეხვედრული შესაძლებლობების პირა ოზურგეთის სარეაბილიტაციო ცენტრში დაიწყო, ხოლო შემდეგ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობებს შეხვდა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. ამ შეხვედრაზე თეატრის და ქალაქის პრობლემებზე ისაუბრეს. დღეს ასევე დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში იგი ვერ ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგებს, ხოლო შემდეგ ა(ა)იპ სკოლამდელი საღმრთლო ცენტრის პედაგოგებს შეხვდა.

14 მაისს მერობის კანდიდატმა თავის საარჩევნო შტაბში შურნალისტებთან პრესკონფერენცია გამართა.

პირველი შეკითხვა, ქალაქის განვითარების მიხედვით ხედვასთან დაკავშირებით, გაზეთმა „ალიონი“ დაუსვა მერობის კანდიდატს.

ბები სიორიძის თქმით, იგი ხედავს მთავარ პრობლემას ქ. ოზურგეთის წყალმომარაგებაში. დახარჯვა დიდი თანხა და ქალაქი ფაქტობრივად წყლის გარეშე დარჩა; ამის მიზეზი იყო არაკომპეტენტური თანხა, რომელიც მშენებლობისთვის გამოიყო, საქმეს არ მოხმარდა, და შედეგი: ონკანში წყალი არ მოდის.

მეორე პრობლემად იგი ქალაქის განვითარების გენგეგმის არარსებობას მიიჩნევს; ქალაქის ცენტრი არ უნდა ჰგავდეს ნაგვის ბუდეს. მოსაწესრიგებელია გარე ვაკრობა და ტრანსპორტის მოძრაობა. სოფლებიდან ჩამოსული ყველა სამარშრუტო ტრანსპორტი ავტოსადგომში უნდა მიდიოდეს. აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს საქალაქო ტრანსპორტი.

ბები სიორიძემ შურნალისტებს უპასუხა, რომ იგი საზოგადოების წარმომადგენლებს საჯარო დაწესებულებებში ვერ შეხვედბა, რადგან სახელისუფლო კანდიდატია. ამიტომ იგი ამომრჩევლებს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედბა და მათგან გაიგებს იმ პრობლემებს, რაც ქალაქს აწუხებს.

კითხვაზე, იკრიბებიან თუ არა, სხვა „შტაბში“ ლეღა თავართქალაძე და სხვა პირები, მან უპასუხა:—ლეღა თავართქალაძე ჩემი მეგობარია, მაგრამ იგი ჩემს შტაბში არ არის. არც სხვა შტაბები არსებობს.

შურნალისტებს დაინტერესა, მერად არჩევის შემთხვევაში, როგორი პრესამსახური ეყოლება მას და როგორც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, შურნალისტებს ყოველთვის პრესამსახურთან ხომ არ



გადაამისამართებს. ბები სიორიძე:— ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი დაკავებული ვიქნები.

მან თავი შეიკავა, მერობის სხვა კანდიდატების რეიტინგის შეფასებისგან და აღნიშნა, რომ მერობა არ არის პარტიული თანამდებობა, ეს მენეჯერის ადგილია.

მომდევნო დღეებში გამართული შეხვედრებიდან საინტერესო იყო კულტურის მუშაკებთან შეხვედრაზე გაუღერებული მოსაზრებები.

კულტურის მუშაკების კითხვებს მან უპასუხა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია კულტურის ცენტრის სოფ. ოზურგეთში გადგანა. კარგია რომ, სოფ. ოზურგეთის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტია გათვალისწინებული, მაგრამ იქ სასურველია სხვა დაწესებულება განთავსდეს.

მან ასევე პირველად გამოთქვა აზრი წინა ხელისუფლების მიერ სახელმწიფო თეატრის წინ ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედნის „არქიტექტურულ შედეგზე“.

—სამწუხაროდ, ქალაქის მნიშვნელოვანი მოედანი დამახინჯდა. მე არა ვარ გაკეთულის დანგრევის მომხრე, მაგრამ მოედანს პირვანდელი სახე უნდა დაუბრუნოთ-განაცხადა ბები სიორიძემ.

მან ასევე ახალი საავადმყოფოს განხრის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

უზასო პოლიტიკური რეკლამა

ლეღა ნაცვალაძე კენჭს ნასაკირალში იყრის

გაზეთი „ალიონი“

—არის სოფლები, სადაც ადამიანებმა უარი გვიხრეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატობაზე. სოფ. ოზურგეთში ჩვენმა კანდიდატმა „ნაციონალების“ ყოფილი ჩინოვიკის, ოჯახის ახლობლის ზეწოლის შედეგად ვითხოვა უარი. ასეთივე სიტუაცია იყო ვკუმბათში, ბოზგაურში— თქვა შურნალისტებთან „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ დეპუტატობის კანდიდატმა ლეღა ნაცვალაძემ.

—ლაითური, ნარუჯა, ნასაკირალი-ეს ის დაბები იყო, სადაც ხელისუფლება აკეთებდა თავის გათვლებს. თუმცა ბოლო დროს ცნული გადგვა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით დაბა ნასაკირალზე. მაქვს ინფორმაცია, რომ დაბა ნასაკირალის მცხოვრებ გური ბერიძეზე განხორციელდა ზეწოლა. ამ ზეწოლას ახორციელებს დაბის რწმუნებული შოთა



▶▶▶ 83-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | | | | | | | | |
|----------------------|------------------------|-----------------------|------------------------|-----------------------|------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------------|-------------------------|--------------------|-------------------------|-------------------|------------------------|
| | წვიმა +13+16 | | წვიმა +13+16 | | წვიმა +15+21 | | ღრუბლი +16+25 | | ღრუბლი +19+29 | | ღრუბლი +17+24 | | წვიმა +16+21 |
| 19 მაისი ორშაბათი | | 20 მაისი სამშაბათი | | 21 მაისი ოთხშაბათი | | 22 მაისი ხუთშაბათი | | 23 მაისი პარასკევი | | 24 მაისი შაბათი | | 25 მაისი კვირა | |

